

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი დიდიძე

რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების მეთოდურ-
ორგანიზაციული საკითხები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა: „ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი“

შიფრი: ----

თბილისი

2020

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი
საწარმო ინოვაციების და ოპერაციათა მენეჯმენტის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი კონსტანტინე ხმალაძე

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2020 წლის "-----" "-----" "-----" საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო
სადისერტაციო საბჭოს - "საინჟინრო მენეჯმენტი" სხდომაზე, კორპუსი VIII,
აუდიტორია ----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
პროფესორი

მანანა მალრაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა.

საქართველოს ეკონომიკა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც ცენტრალიზებულად მართული სამეურნეო სისტემა. შესაბამისად, საბაზრო პრინციპების დანერგვამდე მუსირებდა მოსაზრება აღნიშნული ეკონომიკური სისტემის უკრიზისოდ, აღმავალი ინოვაციური განვითარების შესახებ. ამ იდეოლოგიური შინაარსის მქონე ეკონომიკურ დოგმას საფუძველი გამოეცალა სისტემური ცვლილებების წინა პერიოდში (80-იანი წლები), როდესაც ნათლად წარმოჩინდა სისტემური კრიზისის დამახასიათებელი ნიშნები, როგორცაა: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნისა და ათვისების ტემპების მკვეთრი დაცემა; მანქანების, მოწყობილობების და სხვა სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება და განდევნა საგარეო და საშინაო ბაზრებიდან; შიდა სამომხმარებლო ბაზრის მიტაცება უცხოური მონოპოლიების მიერ; მეცნიერებატევადი სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოების მნიშვნელოვნად შემცირება; ეკონომიკის წამყვანი, მაღალტექნოლოგიური დარგების მიერ კვლავწარმოების, ტექნიკური რეკონსტრუქციისა და საწარმოო აპარატის განახლების უნარის დაკარგვა; საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლა და სხვა.

ინოვაციური კრიზისის მიზეზებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია საბჭოური ეკონომიკური სისტემის ჩამორჩენა ტექნოლოგიური განვითარების დონის მიხედვით. განვითარებული ქვეყნების ახალ ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლის საპირისპიროდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარეობდა მიღწეული ტექნოლოგიური განვითარების დონის შემცირების პროცესი. ამას თან დაერთო ეგრეთწოდებული ეკონომიკის დემილიტარიზაციის, ანუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მაღალტექნოლოგიური სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანის

წარუმატებელი მცდელობა. ინფლაციის, საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი საგარეო და შიდა ვალის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იყო ძირითადად მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე და სათანადო ყურადღება ვერ უთმობდა პერსპექტიული ინოვაციურ-ინვესტიციური პრობლემების გადაწყვეტას.

ამჟამად, შეიძლება ითქვას, რამდენადმე დაძლეულია ინოვაციური მეწარმეობის სფეროში არსებული კრიზისული მოვლენები. მიმდინარეობს ეფექტიანი ინოვაციურ-ინვესტიციური საბაზრო მექანიზმის ფორმირების პროცესი. შეინიშნება ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ზრდის პროცესი ინვესტიციებისა და ინოვაციების საფუძველზე. ხელისუფლება აცნობიერებს ინოვაციების აუცილებლობას. მუშავდება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციები და კანონები. სამეწარმეო და საბანკო წრეებს ესმით, რომ ინოვაციებისა და მათი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია ფონს გასვლა კონკურენტულ ბრძოლაში. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით - იქმნება ბიზნეს-ინკუბატორები და ინოვაციური ცენტრები; ყალიბდება ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალი. ჩვენი ამოცანაა ამ პოტენციალის სრულად ჩართვა ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარებას ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტი იძენს მაღალ სამომხმარებლო თვისებებს. აღსანიშნავია, რომ მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მცირე საწარმოებს გააჩნიათ ინოვაციების მიღებადობის მაღალი უნარი. ისინი გამოირჩევიან მობილურობით და უნარი შესწევთ აწარმოონ მეცნიერებატევადი პროდუქცია შედარებით ნაკლები დანახარჯებითა და რისკით, აგრეთვე, გაცილებით მოკლე დროში.

მოცემული კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ისეთი მეთოდოლოგიის შემუშავების საჭიროება, რომელიც მოგვცემს

შესაძლებლობას მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები ინოვაციური ტერიტორიული ერთეულების განვითარების მხარდაჭერის შესახებ. მოცემულ ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური აგენტების განვითარების დონე და კოოპერაციის ხარისხი არის ამოსავალი, საკვანძო ფაქტორი ინოვაციების სფეროში სინერგიული ეფექტის მისაღებად. ამის მეშვეობით იქმნება ცალკეული მონაწილისა და მთლიანად ინოვაციური ტერიტორიული წარმონაქმნის კონკურენტული უპირატესობები.

სამუშაოს მიზანი.

კვლევის მიზანია საქართველოში რეგიონალური საინოვაციო სისტემის შექმნისათვის აუცილებელი წინაპირობებისა და მახასიათებლების განსაზღვრა. ეკონომიკის მზარდი გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით, აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფორმირება. ეს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მათი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა და ეკონომიკური უსაფრთხოების პირობების შექმნა.

კვლევის ობიექტი და მეთოდები.

კვლევის ობიექტია საქართველოს ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემები, კერძოდ, ეროვნულ დონეზე: სამეწარმეო პოლიტიკა, საგანმანათლებლო სისტემა, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკა, კვლევებისა და განვითარების პოლიტიკა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სავაჭრო პოლიტიკა, საბიუჯეტო პოლიტიკა. რეგიონულ დონეზე: კონტაქტების დამყარება, ურთიერთქმედება, სწავლება, ფინანსური (ვენჩურული კაპიტალი), ცოდნის ინფრასტრუქტურა, მხარდამჭერი

სისტემა, ინდივიდუალური აქტორები, კლასტერიზაცია, ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

კვლევის მეთოდები: ზოგად მეთოდებთან (სისტემური ანალიზი, სინთეზი) ერთად, დისერტაციაში გამოყენებულია ინოვაციური განვითარებისადმი ინტეგრირებული მიდგომის, ინოვაციის გაზომვისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და სიახლე.

ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდოლოგიური საკითხების განსაზღვრა;

- რეგიონული საინოვაციო სისტემის სქემატური მოდელის შედგენა და მისი დანერგვის წინადადებების შემუშავება;

- ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მიმართულებებისა და სფეროების განსაზღვრა; ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირების სამთავრობო, ინსტიტუციური და საბაზრო მექანიზმების ფორმირება;

- ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნის, ნოვატორული ცოდნის გენერირებისა და კომერციალიზაციის პროცესში საჯარო, კერძო და აკადემიური სექტორების საქმიანობის კოორდინაციის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება.

- კვლევისათვის საპილოტედ შერჩეული რეგიონების (კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა-ლეჩხუმი) განვითარების პროგრამის შედგენის (მეთოდოლოგიის განსაზღვრის) პროცესში ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისადმი საქართველოსთვის ადაპტირებული ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება და რეალიზება.

შედეგების გამოყენების სფერო.

დისერტაციაში შემოთავაზებული ინოვაციური განვითარების მიდგომები და მექანიზმები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული წინადადებებსა და რეკომენდაციების პრაქტიკაში რეალიზაცია ხელს შეუწყობს ქვეყანის შედარებითი უპირატესობების ეფექტიანად გამოყენებასა და პოზიციონირებას ბაზარზე, პრიორიტეტული დარგებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ინოვაციებისა და ახალ ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს და გაზრდის პროდუქტისა და მომსახურების დამატებით ღირებულებას. ბუნებრივ რესურსებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორებად ჩამოყალიბდება სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა და განვითარებული საინოვაციო სისტემა,

აპრობაცია.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისადმი საქართველოსთვის ადაპტირებული ინტეგრირებული მიდგომის შემუშავების მეთოდოლოგიურმა საითხებმა ასახვა ჰპოვა სამთავრობო დოკუმენტში: „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“

დისერტაციის თემატიკის საკითხები მოხსენებულ იქნა კონფერენციებზე:

- საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. ინოვაციური მეწარმეობის განვითარების წანამძღვრები და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია,- „ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“ თბილისი, 2018;

- რეგიონული საინოვაციო სისტემა როგორც ინოვაციური პოლიტიკის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ელემენტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები“. ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2019.

ცნობები დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ.

დისერტაციის მოცულობა შეადგენს ნაბეჭდ 130 გვერდს, მათ შორის: ტექსტის ძირითადი ნაწილი 122 გვ., დანართები 8 გვ.

სადისერტაციო ნაშრომს აქვს შემდეგი სტრუქტურა:

შესავალი

თავი 1. რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები.

1.1. რეგიონული საინოვაციო სისტემის არსი, კონცეპტუალური ბაზა და ძირითადი ელემენტები.

1.2. საინოვაციო სისტემების შეფასების და განვითარების თანამედროვე მეთოდოლოგიები

თავი 2. გამოცდილება რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის სფეროში

2.1. აღმოსავლეთ აზიის გამოცდილება და გაკვეთილები განვითარებადი ქვეყნებისათვის

2.2. სახელმწიფო და საჯარო პოლიტიკის როლი

2.3. ეროვნული ინოვაციების სააგენტო

თავი 3. რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლები

3.1. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: არსებული სიტუაცია, პრობლემები და გამოწვევები

3.2. რეგიონის ინოვაციური განვითარების კონცეფციის ძირითადი მიდგომები და შინაარსი

3.3. რეგიონული საინოვაციო სისტემა როგორც ინოვაციური პოლიტიკის ორგანიზაციულ - ეკონომიკური მექანიზმის ელემენტი

თავი 4. რეგიონული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი

4.1. ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა

4.2. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ

4.3. ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისადმი საქართველოსთვის ადაპტირებული ინტეგრირებული მიდგომის შემუშავება და რეალიზება.


დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

დანართები

ნაშრომის მოკლე შინაარსი

პირველ თავში - რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, - განხილულია ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემების ჩამოყალიბებისა და არსის კონცეპტუალური საფუძვლები (ნახაზი1).




ნახაზი 1. საინოვაციო სისტემის მოდელი

რეგიონული საინოვაციო სისტემას განვმარტავთ, როგორც რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირება, რეგიონის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად..

რეგიონული საინოვაციო სისტემის პოტენციური აქტორებია: რეგიონული ადმინისტრაციები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რეგიონული განვითარების სააგენტოები, უმაღლესი საგანანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევითი ინსტიტუტები, ტექნოლოგიური ტრანსფერის ცენტრები (ტექნოლოგიური ბროკერები), საკონსულტაციო ცენტრები და ფირმები, პროფესიული ასოციაციები, ფინანსური ინსტიტუტები, მწარმოებლები და მომსახურების მიმწოდებლები შესაბამისი კვლევა-განვითარების ერთეულებით და სხვ.

რეგიონულ საინოვაციო სისტემა განირჩევა ეროვნულ საინოვაციო სისტემისა (ესს) და გლობალური (გსს) საინოვაციო სისტემებისაგან. თითოეული სისტემის აქტორები და დამოკიდებულებები მათ შორის მოტანილია მე-2 ნახაზზე.



წყარო: The Council of Competitiveness

ნახაზი 2. გლობალური, ეროვნული და რეგიონული ინოვაციის სისტემები

საინოვაციო სისტემის მიზნებისთვის რეგიონს გავსაზღვრავთ როგორც გარკვეულ ტერიტორიას ცვალებადი საზღვრებით, სამეურნეო საქმიანობის კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით ძირითადად ერთგვაროვანს, შიდა კოჰეზიურობის სათანადო ხარისხის მქონეს და ფუნქციონალურად განსხვავებულს მოსაზღვრე რეგიონებისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ხშირად გამოიყენება კლასტერული მიდგომა, ანუ რეგიონი, როგორც ბუნებრივი ეკონომიკური ზონა, განვითარებული კლასტერებით და ინოვაციური პროექტების მხარდამჭერი ადმინისტრაციული სისტემით.

საინოვაციო სისტემების შეფასების და განვითარების თანამედროვე მეთოდოლოგიებიდან აქცენტირებულ იქნა **ინოვაციის გაზომვისა და შედარებითი ანალიზის მეთოდი**, რომლის მიხედვითაც "მსოფლიო ინოვაციის მონაცემთა ცხრილის" მეშვეობით ხდება ევროკავშირის სახელმწიფოებისა და ინოვაციურ საქმიანობის კვლევისა და განვითარების განმახორციელებელი რიგი ქვეყნების შედარება კვლევისა და განვითარების ხარჯების წილით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

ამ სიაში საქართველო 150-იანელების ჯგუფში იმყოფება, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე გაწეული ხარჯების ოდენობით რამდენიმე ათეულჯერ ჩამორჩება განვითარების სამუალო დონეზე მყოფ ქვეყნებს.

ინოვაციის გაზომვის ინდიკატორებია:

- ინოვაციის მამოძრავებელი ძალები. ზომავენ ინოვაციური პოტენციალისათვის საჭირო სტრუქტურულ პირობებს;

- ცოდნის მოპოვება. ზომავს ინვესტიციებს კვლევისა და განვითარების აქტივობებში;

- ინოვაცია და მეწარმეობა. ზომავს ინოვაციისათვის გაწეულ ძალისხმევას კორპორატიულ დონეზე;

- ცოდნის გამოყენება. ზომავს შრომისა და ბიზნესის აქტივობების საკითხებში გამოხატულ საქმიანობას და მათ დამატებით ღირებულებას ინოვაციურ სექტორებში;

- ინტელექტუალური საკუთრება ზომავს მიღწეულ შედეგებს წარმატებული ნოუ-ჰაუს საკითხებში.

რეგიონის ეკონომიკის განვითარების ექვს ბიჯიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით გვეძლევა შესაძლებლობა დავსახოთ მიზნის ეტაპობრივად მიღწევის ეფექტური ღონისძიებები.

ბიჯი 1 - რეგიონის აქტივების იდენტიფიცირება. იგი აისახება რეგიონის აქტივების რუქის შედგენაში. რეგიონის ეკონომიკური აქტივები მოიცავს ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, სამეცნიერო კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტებს, ინფრასტრუქტურას, ბიზნეს პოლიტიკას, კულტურას, სამრეწველო ბაზას, სამართლებრივ და ნორმატიულ გარემოს და სხვა.

რეგიონის აქტივობის რუქის შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რეგიონისთვის მსოფლიო კონკურენტულ ეკონომიკაში გარკვეული ორიენტირის როლის შესასრულებლად.

ბიჯი 2 - ძირითად ლიდერთა ჯგუფის განსაზღვრა.

რეგიონის აქტივების განსაზღვრის და იდენტიფიცირების შემდეგ,

განისაზღვრება ძირითადი ლიდერთა ჯგუფი, რეგიონის ძირითადი აქტივები უნდა შეიქმნას წამყვანი რეგიონალური ცვლილებებისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობაში უნდა შევიდნენ დამსაქმებლები, ეკონომიკური და საკადრო განვითარების სპეციალისტები, სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის მოხელეები, განათლების სისტემის, კვლევითი ლაბორატორიების სპეციალისტები.

ბიჯი 3 - SWOT -ანალიზი

რეგიონის სტრატეგიულ დაგეგმვაზე ზემოქმედების მქონე, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების კომპლექსური ანალიზი.

ბიჯი 4 - რეგიონალური იდენტიფიცირება და რეგიონალური ეკონომიკის განვითარების ხედვა;

რეგიონალური თვითმყოფადობის განვითარებას და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ხედვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონში გლობალური კონკურენტული უპირატესობის მხარდასაჭერად. ხედვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი რეგიონალური ქცევის ჩამოსაყალიბებლად.

ბიჯი 5 - სტრატეგიის შემუშავება

რეგიონალური ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა იყოს კონკურენტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში თანმიმდევრული.

ბიჯი 6 - რესურსების მობილიზება და განხორციელება

დაფინანსების წყაროებიდან რესურსების მობილიზება საერთო რეგიონალური ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად. სახსრები წარიმართება, პირველ რიგში, მცირე საწარმოების გასაძლიერებლად, მდგრადი მეწარმეობის ხელშესაწყობად და სასწავლო ცენტრებში, ასევე კოლეჯებში სწავლების სამუშაო პროგრამების დასაფინანსებლად.

მსოფლიო გამოცდილება რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის სფეროში (თავი 2) გვიჩვენებს, რომ

რეგიონული საინოვაციო სისტემები ამჟამად განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი როლის მქონე ეკონომიკური განვითარების ბერკეტი. განვითარებული ეკონომიკის მქონე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ხელს უწყობს ეროვნული კონკურენტულობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული ინოვაციის სისტემისა და კლასტერების ჩამოყალიბებას.

ამგვარი მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია გერმანია, სადაც წარმატებით ხორციელდება ბენეფიციარი რეგიონების გამოვლენა და მათთვის ფინანსურ მხარდაჭერა ინოვაციური რეგიონული ბიოტექნოლოგიური კლასტერების მშენებლობაში, ბიოტექნოლოგიების კომერციალიზაციასა და არსებული სუსტი კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესებაში.

გაერთიანებულ სამეფოში, მთავრობის სამეწარმეო პოლიტიკა მიზანდასახულად ავითარებს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას, იგი აძლიერებს რეგიონული განვითარების ორგანოებს და ახდენს ინოვაციის ზრდის თანადაფინანსებას, უჭერს რა მხარს რეგიონული კლასტერების წარმოქმნისა და განვითარების სტრატეგიას.

ფინეთში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში აღინიშნება სწრაფი ეკონომიკური ზრდა და ტექნოლოგიების განვითარება. ქვეყანამ სრულიად განაახლა თავისი სამრეწველო ბაზა და გაზარდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთ აზიის გამოცდილება და გაკვეთილები განვითარებადი ქვეყნებისათვის. ასე, მაგალითად, ტაივანი, კორეის რესპუბლიკა, სინგაპური და მალაიზია ტექნოლოგიური მიღწევების საკითხში მაღალ პოზიციებზე იმყოფებიან საერთაშორისო ტექნოლოგიური ინდექსის მიხედვით.

აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეროვნული და რეგიონული საინოვაციო სისტემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტექნოლოგიური განვითარების ორი განსხვავებული პარადიგმა: პირველი. რიგ ქვეყნებში (მალაიზია, ტაილანდი, ინდონეზია და ფილიპინები) ტექნოლოგიური

მიღწევები მაღალტექნოლოგიური ექსპორტის სფეროში და ეკონომიკური ზრდის მაღალი დონე დამოკიდებული იყო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე; მეორე, ტაივანისა და სამხრეთ კორეის გამოცდილება გვაჩვენებს ეროვნულ საინოვაციო სისტემაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიური განვითარების იმ გზას, რომელიც მცირე დოზით, ან საერთოდ არ არის დამოკიდებული პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ორივე ქვეყანამ გამოიყენა შიდა ინოვაციური საინვესტიციო ძალისხმევა, იმპორტის ჩანაცვლებისა და ექსპორტის წინსვლის სტრატეგიის შესაძლებლობები.

ისტორიულად, აღნიშნულ ქვეყნებში გადამწყვეტი როლი შეასრულა სახელმწიფო სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა პოლიტიკამ როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე. სახელმწიფო არაპირდაპირი მონაწილეობის ფორმით განახორციელებს კომერციაზე ორიენტირებული კვლევების ხელშეწყობას, საჯარო-კერძო თანამშრომლობის განვითარებითა და საგადასახადო სტიმულების მეშვეობით.

მე-3 თავში - რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირების მეთოდოლოგიური საკითხები, განხილულია საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში არსებული სიტუაცია, პრობლემები და გამოწვევები.

რეგიონული ინოვაციური სისტემის განმსაზღვრელ, სტრუქტურის წარმომქმნელ ფაქტორთა ფუნქციონალური სქემა მოტანილია მე-3 სქემის სახით.


ამჟამინდელი რეგიონული განვითარების პოლიტიკის და არსებული რეალიების ანალიზიდან გამოიკვეთა თუ რა პრობლემებთან, გამოწვევებთან და ნაკლოვანებებთან გვაქვს საქმე. მათ შორის, ზოგადად აღსანიშნავია შემდეგი:

- რეგიონული მმართველობის ინსტიტუციური სისუსტე;
- რეგიონული პოლიტიკების (სტრატეგიების), მიზნების, ინსტრუმენტების და ამოცანების არასათანადო ხედვა;

- ინოვაციური განვითარების ეროვნული და რეგიონული სტრატეგიების არარსებობა და შესაბამისად, არასისტემური, არათანმიმდევრული მიდგომები ცალკეული ინიციატივების მიმართ;
 - ინოვაციებზე ორიენტირებული საჯარო ინიციატივებისა და პოლიტიკის არქონა;
 - სტიმულებზე დაფუძნებული ინოვაციური პროგრამებისა და ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს ხელშემწყობი პროექტების ნაკლებობა;
 - რეგიონული და ეროვნული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა; შესაბამისი ხარჯების დაუფინანსებლობა;
 - ცოდნის კომერციალიზაციის მინიმალური დონე;
 - უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ასევე ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტთა და შემოსულ ინვესტორთა შორის კავშირების წახალისებაში რეგიონული (ადგილობრივი) ადმინისტრაციების უმნიშვნელო აქტიურობა.
- კადრების გათვითცნობიერებულობის არცთუ მაღალი დონე, ცოდნის და ინტერესის დეფიციტი რეგიონული მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, კონკურენტუნარიანობის, ინოვაციებისა და ცოდნის მართვის საკითხებში;
- კომუნიკაციის ნაკლებობა მთავრობას, ბიზნეს-სექტორსა და აკადემიურ სექტორს შორის;
- ხშირ შემთხვევაში, მონაცემთა არარსებობა და ინფორმაციის ცუდი ან ნაწილობრივი ხელმისაწვდომობა.
 - განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს შემდეგი ინსტიტუციური პრობლემები:
 - ინოვაციური პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი საჯარო ინსტიტუციები მხოლოდ ნაწილობრივ იყენებენ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს შესაბამისი პოლიტიკის

განხორციელებისთვის; საინოვაციო სისტემის არასაჯარო სუბიექტები ნაკლები როლს ასრულებენ საინოვაციო სისტემის გაუმჯობესების საქმეში.

- საქართველოს უნივერსიტეტების პოტენციური ტექნოპოლისების ჩამოყალიბებაში მხოლოდ მცირედი მოცულობითაა გამოყენებული. ამ მხრივ, შეინიშნება პირველი ინიციატივები (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის ბიზნეს სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,) მაგრამ მთლიანობაში, არასაკმარისი რესურსების და მცირე სახსრების გამო, ამ მიმართულებით მუშაობა ჯერჯერობით ვერ იძლევა სასურველ შედეგებს;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების დონე შორს არის სასურველისგან.



ნახაზი 3. რეგიონული ინოვაციური სისტემის ზეგავლენის ფაქტორები

საქართველოში რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებას გააჩნია თავისებურებანი.

საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის კურსი გულისხმობს არსებული სანედლეულო - სასურსათო მოდელის ნაცვლად ინოვაციებზე დაფუძნებული განვითარების სისტემის დანერგვას. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ეკონომიკის მდგრადი განვითარება, მასზე მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურის ცვლილებების ზეგავლენის შესუსტება და ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება, განსახლებისა და რესურსების ათვისების უთანაბრობა, განსხვავებები რეგიონებს შორის საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით და სხვა ფაქტორები ობიექტურად განაპირობებენ ინოვაციური სისტემების ტერიტორიულ თავისებურებებს განვითარების ერთიანი კურსის ფარგლებში. შესაბამისად, რეგიონების გადასვლა განვითარების ინოვაციურ სისტემაზე განხორციელდება არათანაბრად. ამასთან, სპეციფიკის გამო განსხვავებული იქნება რეგიონული ინოვაციური პოლიტიკისა და პროგრამების შინაარსი. რეგიონული ეკონომიკის კონკრეტული მახასიათებლების შესაბამისად უნდა შემუშავდეს რეგიონული ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბების ადეკვატური მექანიზმები, აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ფორმები და მექანიზმები.

მთლიანობაში, თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის მოვიტანთ რეგიონული ინოვაციური სისტემის, ქვესისტემებისა და მათში შემავალი ელემენტების სტრუქტურას (ნახაზი 4.)

ამჟამად, საქართველოს რეგიონები ხასიათდებიან არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და რა თქმა უნდა, განსხვავდებიან ინოვაციური განვითარების დონით. ამ უთანასწორობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი რეგიონისათვის "ინოვაციური პოტენციალის" კრიტიკული მასა შეიძლება იყოს მიუწვდომელი. მაგრამ, ყველა რეგიონში უნდა მიმდინარეობდეს ეკონომიკის ინოვაციური

განვითარების პროცესი. ასეთ სიტუაციაში, თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არსებობს გამოსავალი ორი მიმართულებით:

ა) რეგიონთაშორისი საინოვაციო სისტემის შექმნა;

ბ) რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობების დაჯგუფება ინოვაციური საქმიანობისთვის მზაობის მიხედვით, ანუ ზოგიერთ რეგიონში ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობებით. რაც არ გულისხმობს საინოვაციო პროცესის ყველა ეტაპის შესრულებას. ამ შემთხვევაში წარმოიშობა რეგიონების კლასიფიკაციის საჭიროება ინოვაციური სისტემის განვითარების დონის, ინოვაციური პოტენციალის დონის, ინოვაციური ციკლის განხორციელების მზადყოფნის ხარისხის მიხედვით. ამ პარამეტრის მიხედვით, რეგიონები შეიძლება დაიყოს სამ ქვეჯგუფად:

- რეგიონები ინოვაციური სისტემის სრული ციკლით;

- რეგიონები ინოვაციურ სისტემაში ცოდნის წარმოების პროცესების უპირატესობით;

- რეგიონები განაწილების ქვესისტემების, ცოდნის გამოყენებისა და მისი შედეგების პირველად განხორციელების დომინანტობით.

აუცილებელია რეგიონებში საბაზისო დოკუმენტაციის შემუშავება, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება რეგიონული ინოვაციური სისტემების მიზნები, ამოცანები და ფორმირების გზები. პირველ რიგში, ეს არის **ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა.**

პროგრამაში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. საინოვაციო საქმიანობის განვითარების პრიორიტეტული სფეროების იდენტიფიკაცია;

2. საკანონმდებლო რეგულირება: კანონმდებლობისა და რეგულაციების ნუსხა, რომელიც უნდა მომზადდეს და მიღებულ იქნეს რეგიონში ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად;

3. ადმინისტრაციული და ეკონომიკური სტრუქტურების შექმნა რეგიონულ და მუნიციპალურ ადმინისტრაციებში, რომელთა ამოცანა იქნება საინოვაციო საქმიანობის განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

4. მსხვილ რეგიონულ ცენტრებში ინოვაციების მხარდამჭერი ტერიტორიული ინფრასტრუქტურის შექმნა (ტექნოლოგიური პარკები, საწარმოს ფონდები, საინფორმაციო ცენტრები და ა.შ.);

5. საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საინოვაციო საქმიანობის განხორციელების სტიმულირების ღონისძიებები;

6. რეგიონის წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ტექნოლოგიების კომერციალიზაციის განყოფილებების ორგანიზება;


7. კომუნიკაციის პლატფორმების შექმნა მთავრობის, მეცნიერებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად;

8. რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ აქტიური ახსნა-განმარტებითი პიარ-კამპანიის წარმოება რეგიონის "ინოვაციური განვითარების ტერიტორიად" გადაქცევის პროგრამის შესახებ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციურ საწარმოთა მხარდამჭერის სისტემის ჩამოყალიბება, რასაც საქართველოში აქვს სტიქიური ხასიათი.

ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირების პირველ ეტაპზე, აუცილებელია ნათლად განისაზღვროს პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის კრიტერიუმები, განსაკუთრებით მაღალდოტაციური და ეკონომიკურად დეპრესიული რეგიონებისათვის.

რეგიონალური ინოვაციური სისტემა



ნახაზი 4. რეგიონული ინოვაციური სისტემა

რეკომენდებულია, ინოვაციებზე ორიენტირებული ინსტიტუციების, როგორც ბიზნეს-სტრუქტურების ჩამოყალიბება განპირობებული უნდა იქნას აუცილებელი პირობებით, როგორცაა: მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე და მასშტაბი; ცენტრალური და ადგილობრივი საბიუჯეტო შესაძლებლობები; ბიზნეს-ასოციაციების განვითარების მასშტაბები და სხვა. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი უნდა ატარებდეს თანმიმდევრულ, ნებაყოფლობით ხასიათს და საბაზრო ეფექტიანობით უნდა იყოს განპირობებული.

სწორედ, სახელმწიფო ორგანოების ამოცანაა შექმნან, შეარჩიონ და განახორციელონ პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ერთიანი სისტემის ფორმირებას.

თავდაპირველად, აუცილებელია განისაზღვროს პრიორიტეტების სისტემა რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. პრიორიტეტებად შესაძლებელია განხილულ იქნას შემდეგი კატეგორიები: ეკონომიკური, საბიუჯეტო და სოციალური მნიშვნელობა; იმიჯი; შესაბამისობა რეგიონული განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან; ფინანსური შესაძლებლობები; ორგანიზაციული შესაძლებლობები; პროექტის რეალიზაციის ვადები; რისკის დონე; პროექტის ეკოლოგიურობა და უსაფრთხოება; კანონმდებლობასთან შესაბამისობა და სხვა.

შემოთავაზებულია ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტების ეფექტიანობის შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

- ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა; ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება; ადგილობრივი ეკონომიკისა და უმაღლესი სასწავლებლების განვითარება; ახალი კომპანიებისა და სამუშაო ადგილების შექმნა; - მეცნიერულ დამუშავებათა კომერციალიზაცია; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; რეგიონის იმიჯის გაუმჯობესება და სხვა.

სადისერტაციო ნაშრომში შემოთავაზებულია ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისადმი საქართველოსთვის ადაპტირებული ინტერგრირებული მიდგომის მეთოდოლოგია.

ეკონომიკის ინოვაციური განვითარება ფართო გაგებით გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას კონკურენტუნარიანობის ამაღლების, კოჰეზიის (განვითარების დონეთა გამოთანაბრება) და დაბალანსებული მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (სრიგპ). პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ყოვლისმომცველი კონკრეტული ქმედებების განხორციელებას ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად.

აღნიშნული მიზნის რეალიზება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც განხორციელდება ისეთი მიმართულებით, როგორცაა: წარმოება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. ინვესტიციის განხორციელება უნდა მოხდეს შერჩევითი გზით. ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

სრიგპ-ის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებული იქნება ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

მოცემული კვლევის მიზნის შესაბამისად, ინტეგრირებული განვითარების ღონისძიებათა ერთიან სისტემაში განვიხილავთ მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ინოვაციების ხელშეწყობის პრიორიტეტულ მიმართულებას.

საპილოტე რეგიონების მონაცემები (ცხრილი 1) ცხადყოფს, რომ ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქვეყანაში არსებულ საშუალო დონეს. დიდი განსხვავებებია აგრეთვე თავად რეგიონებს შორის.

ცხრილი 1. საპილოტე რეგიონების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, 2017წ.

რეგიონი	კომპანიების რაოდენობა (პროცენტული წილი საქართველოში არსებული კომპანიების საერთო რაოდენობაში)	ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (პროცენტული წილი საქართველოში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში)	ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (პროცენტული წილი საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მთლიან მოცულობაში)	მთლიანი დამატებული ღირებულება (პროცენტული წილი ჯამურ მდლ-ში საქართველოში)
იმერეთი	13.6	7.3	1.9	10
კახეთი	6.1	3.3	1.8	5.7
გურია	2.6	1.2	0.4	2
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	0.7	0.3	0.19	0.5

წყარო: საქსტატი.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა საპილოტე რეგიონი მსგავსი პრობლემების წინაშე დგას, როგორცაა ბიზნეს-კომპანიების სიმცირე და

ბიზნეს-სექტორში დასაქმების დაბალი მაჩვენებელი, აგრეთვე აღნიშნული სექტორის უმნიშვნელო წილი ქვეყნის ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებში და მთლიან დამატებულ ღირებულებაში, რეგიონებს შორის მაინც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები ეკონომიკური სტრუქტურის მრავალფეროვნებისა და საწარმოო სექტორის პოტენციალის თვალსაზრისით.

საქსტატის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოთა წილი საქართველოში მოქმედ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში 95% შეადგენს (საშუალო საწარმოები - 1%, მცირე საწარმოები - 94%). ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოების წილი ბიზნეს-სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში 61%-ს შეადგენს, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების საერთო ღირებულებაში - 39%. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულია საქართველოში რეგისტრირებულ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მთლიან ბრუნვასა და დასაქმებაში საპილოტე რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 2. კომპანიათა წვლილი მთლიან დასაქმებასა და ბრუნვაში, საწარმოთა ზომის მიხედვით, %-ად, 2017 წ.

	მსხვილი		საშუალო		მცირე	
	დასაქმება	ბრუნვა	დასაქმება	ბრუნვა	დასაქმება	ბრუნვა
იმერეთი	21	26	18	25	61	49
კახეთი	6	8	26	29	68	63
გურია	10	7	23	32	67	61
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	-	-	9	8	91	92

წყარო: საქსტატი

აღნიშნული პრიორიტეტის საინვესტიციო სტრატეგია გულისხმობს ისეთ აქტივობებზე კონცენტრაციას, რომელთაც საპილოტე რეგიონების

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის და ამ რეგიონების მეურნეობების რესტრუქტურის მხარდაჭერის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაეხმარება რეგიონულ მცირე და საშუალო საწარმოებს განხორციელონ ინვესტიციები, რომელთა მიზანია უკეთესი ხარისხის, გასავლიანი პროდუქციისა და სერვისების, აგრეთვე ახალი, მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა. საწარმოები წახალისებულნი იქნებიან, გაზარდონ თავიანთი ხარჯები ინოვაციებსა და კვლევა-განვითარებაზე სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა მოხდება ოთხივე რეგიონში, გრანტების სახით. დახმარებით უზრუნველყოფილი იქნება ზრდის დიდი პოტენციალისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების სურვილის მქონე მცირე და საშუალო საწარმოები, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც შეესაბამება რეგიონების განვითარების სტრატეგიით (გონივრული სპეციალიზაციის მიდგომის გამოყენებით) განსაზღვრულ ზრდაზე ორიენტირებულ სექტორებს, რომლებიც მოსახლეობას შემოსავლების გენერირებისა და პროდუქტულობის მნიშვნელოვან ზრდას სთავაზობენ.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად გატარებული იქნება ღონისძიებები ორი მიმართულებით:

- **ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება სამრეწველო და სურსათის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა. ადგილობრივი მიკრო და მცირე ზომის კომპანიებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მცირე გრანტები, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული კომპანიების პოტენციალის გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
- **ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა.** აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი

მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას აღჭურვილობისა და სერვისების შესაძენად, რაც, თავის მხრივ, დაეხმარებათ, განახორციელონ ინოვაციური გადაწყვეტილებები, აგრეთვე კვლევითი და წარმოების განვითარების ღონისძიებები, და ამ გზით გაზარდონ კომპანიის პროდუქტიულობა.

აღნიშნული პრიორიტეტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- სამრეწველო მცირე და საშუალო საწარმოთა გაზრდილი ინვესტიციები;
- მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ინოვაციური გადაწყვეტილებებისა და პროდუქციის გამოყენების მეტი შესაძლებლობა;
- ახალი, სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა;
- ახალი, მათ შორის საექსპორტო პოტენციალის მქონე, პროდუქციისა და სერვისების განვითარება.

დასკვნა

რეგიონული საინოვაციო სისტემას განვმარტავთ, როგორც რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირება, რეგიონის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად..

ახალი ტექნოლოგიების) შექმნა და გამოყენება, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, და მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა გვევლინება რეგიონების კონკურენტუნარიანი წარმოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად. ინოვაციათა განვითარების კვალობაზე ჩამოყალიბდა და მზარდი დინამიკა შეიძინა ტექნოლოგიების ბაზარმა

განვითარებული ეკონომიკის მქონე პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ხელს უწყობს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაზე

ორიენტირებული რეგიონული ინოვაციის სისტემისა და კლასტერების ჩამოყალიბებას. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ფინეთი, გერმანია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.

ამჟამად, საქართველოში ინოვაციური განვითარების სფეროში გვაქვს პრობლემები: რეგიონული მმართველობის ინსტიტუციური სისუსტე; რეგიონული პოლიტიკების (სტრატეგიების), მიზნების, ინსტრუმენტების და ამოცანების არასათანადო ხედვა; არასისტემური, არათანმიმდევრული მიდგომები ცალკეული ინიციატივების მიმართ; ინოვაციებზე ორიენტირებული საჯარო ინიციატივებისა და პოლიტიკის არქონა; სტიმულებზე დაფუძნებული ინოვაციური პროგრამებისა და ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს ხელშემწყობი პროექტების ნაკლებობა; რეგიონული და ეროვნული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა; შესაბამისი ხარჯების დაუფინანსებლობა; ცოდნის კომერციალიზაციის მინიმალური დონე; უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, ასევე ადგილობრივ სამეწარმეო სუბიექტთა და შემოსულ ინვესტორთა შორის კავშირების წახალისებაში რეგიონული (ადგილობრივი) ადმინისტრაციების უმნიშვნელო აქტიურობა; კადრების გათვითცნობიერებულობის არცთუ მაღალი დონე, ცოდნის და ინტერესის დეფიციტი რეგიონული მართვის, სტრატეგიული დაგეგმვის, კონკურენტუნარიანობის, ინოვაციებისა და ცოდნის მართვის საკითხებში; კომუნიკაციის ნაკლებობა მთავრობას, ბიზნეს-სექტორსა და აკადემიურ სექტორს შორის; ხშირ შემთხვევაში, მონაცემთა არარსებობა და ინფორმაციის ცუდი ან ნაწილობრივი ხელმისაწვდომობა.

საქართველოს რეგიონები ხასიათდებიან არათანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით და რა თქმა უნდა, განსხვავდებიან ინოვაციური განვითარების დონით. ამ უთანასწორობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი რეგიონისათვის "ინოვაციური პოტენციალის" კრიტიკული მასა შეიძლება იყოს მიუწვდომელი. მაგრამ,

ყველა რეგიონში უნდა მიმდინარეობდეს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების პროცესი. ასეთ სიტუაციაში, თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არსებობს გამოსავალი ორი მიმართულებით:

ა) რეგიონთაშორის საინოვაციო სისტემის შექმნა;

ბ) რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობების დაჯგუფება ინოვაციური საქმიანობისთვის მზაობის მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთ რეგიონში ინოვაციური სისტემის ჩამოყალიბება შეზღუდული შესაძლებლობებით, რაც არ გულისხმობს საინოვაციო პროცესის ყველა ეტაპის შესრულებას.

ამ პარამეტრის მიხედვით, რეგიონები შეიძლება დაიყოს სამ ქვეჯგუფად:

1. რეგიონები ინოვაციური სისტემის სრული ციკლით;

2. რეგიონები ინოვაციურ სისტემაში ცოდნის წარმოების პროცესების უპირატესობით;

3. რეგიონები განაწილების ქვესისტემების, ცოდნის გამოყენებისა და მისი შედეგების პირველად განხორციელების დომინანტობით.

საქართველოს რიგ რეგიონებში შეინიშნება აქტიურობა ინოვაციური სისტემების ჩამოყალიბების მიმართულებით. ეს წამოწყებები საჭიროებენ სათანადო მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას. აუცილებელია რეგიონებში საბაზისო დოკუმენტაციის შემუშავება, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება რეგიონული ინოვაციური სისტემების მიზნები, ამოცანები და ფორმირების გზები. პირველ რიგში, ეს არის ინოვაციური საქმიანობის განვითარების პროგრამა.

ინოვაციური იდეების გენერირების, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებისა და ბაზარზე გატანის ერთიანი პროცესი ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ინოვაციურ საწარმოთა მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება. მსხვილი საწარმოებისაგან

განსხვავებით, მცირე მეწარმეობა საჭიროებს მრავალგვაროვან ხელშეწყობას შეღავათიანი პირობებით ან უსასყიდლოდ.

ჩვენი ჩართულობითა და საკოორდინაციო - მეთოდოლოგიური მხარდაჭერით შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების (რეგიონული განვითარების სტრატეგია, რეგიონული განვითარების პროგრამა და სხვა) მიხედვით ჩანს, რომ საქართველოს გააჩნია ეკონომიკური განვითარების ინოვაციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი პოტენციალი. მოტანილია ეკონომიკის ინოვაციურობის დონის შეფასება და განსაზღვრულია ინოვაციების დანერგვის მიმართულებები. ყურადღებას გავამახვილებთ ქვეყნის ინოვაციური განვითარების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე.

ჩვენი კოორდინაციითა და უშუალო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (სრიგპ). პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) ყოვლისმომცველი კონკრეტული ქმედებების განხორციელებას ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად.

აღნიშნული მიზნის რეალიზება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც განხორციელდება ისეთი მიმართულებით, როგორცაა: წარმოება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. ინვესტიციის განხორციელება უნდა მოხდეს შერჩევითი გზით. ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ.

სრიგპ ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით მატერიალური და არამატერიალური წარმოების მოწინავე დარგებში (მაგ. სოფლის მეურნეობა და ტურიზმი) ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის განვითარებას, ექსპორტის გაზრდის

მიზნით მოქმედებების განსაზღვრა-შემუშავებას (მაგ. რეგიონში ახალი ნიშის მოძებნის გზით), ადგილობრივი რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებას, აგრეთვე ინვესტიციების განხორციელებას განვითარების ისეთ ფაქტორებში, როგორცაა: ინფრასტრუქტურა, განათლება, უნარები, კვლევა-განვითარება და ინოვაცია, რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ კონკრეტული რეგიონების კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის შემოსავლებზე. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ინვესტიციები სათანადო ინფრასტრუქტურისა და გაუმჯობესებული ხარისხის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

სრიგპ-ის მთავარი სტრატეგიული მიზანი მიღწეული იქნება მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც პასუხობენ რეგიონებში გამოვლენილ საჭიროებებსა და პოტენციალს. აღნიშნული ღონისძიებები კონცენტრირებული იქნება ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე: ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა; ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება; ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

მოცემული კვლევის მიზნის შესაბამისად, ინტეგრირებული განვითარების ღონისძიებათა ერთიან სისტემაში განხილულია მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ინოვაციების ხელშეწყობის პრიორიტეტული მიმართულება.

აღნიშნული პრიორიტეტის საინვესტიციო სტრატეგია გულისხმობს ისეთ აქტივობებზე კონცენტრაციას, რომელთაც საპილოტე რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის და ამ რეგიონების მეურნეობების რესტრუქტურის მხარდაჭერის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაეხმარება

რეგიონულ მცირე და საშუალო საწარმოებს განახორციელონ ინვესტიციები, რომელთა მიზანია უკეთესი ხარისხის, გასავლიანი პროდუქციისა და სერვისების, აგრეთვე ახალი, მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა. საწარმოები წახალისებულნი იქნებიან, გაზარდონ თავიანთი ხარჯები ინოვაციებსა და კვლევა-განვითარებაზე სამეცნიერო სექტორთან თანამშრომლობით. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა მოხდება ოთხივე რეგიონში, გრანტების სახით. დახმარებით უზრუნველყოფილი იქნება ზრდის დიდი პოტენციალისა და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოების სურვილის მქონე მცირე და საშუალო საწარმოები, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებიც შეესაბამება რეგიონების განვითარების სტრატეგიით (გონივრული სპეციალიზაციის მიდგომის გამოყენებით) განსაზღვრულ ზრდაზე ორიენტირებულ სექტორებს, რომლებიც მოსახლეობას შემოსავლების გენერირებისა და პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას სთავაზობენ.

გატარებული იქნება ღონისძიებები ორი მიმართულებით:

- ინვესტიციებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მოხდება სამრეწველო და სურსათის გადამამუშავებელი მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა. ადგილობრივი მიკრო და მცირე ზომის კომპანიებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მცირე გრანტები, რაც მიზნად ისახავს აღნიშნული კომპანიების პოტენციალის გაზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

- ადგილობრივი კომპანიების ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების მხარდაჭერა. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მიიღებენ ფინანსურ დახმარებას აღჭურვილობისა და სერვისების შესაძენად, რაც, თავის მხრივ, დაეხმარებათ, განახორციელონ ინოვაციური გადაწყვეტილებები, აგრეთვე კვლევითი და წარმოების განვითარების ღონისძიებები, და ამ გზით გაზარდონ კომპანიის პროდუქტიულობა.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული შრომები

1. დიდიძე გ. მ., დათაშვილი ვ., ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა. „გლობალიზაციის და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები შრომების კრებული“ I- ნაწილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2018, გვ. 75-79.
2. დიდიძე გ. მ., საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენცია, მასალების კრებული - „ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“ თბილისი, 2018 წ. გვ. 237-244.
3. დიდიძე გ. მ., ინოვაციური მეწარმეობის განვითარების წანამძღვრები და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენცია, მასალების კრებული - „ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“ თბილისი, 2018 წ. გვ. 244-250.
4. დიდიძე გ. მ., რეგიონული საინოვაციო სისტემა როგორც ინოვაციური პოლიტიკის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ელემენტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები“ მასალების კრებული, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2019 წ. გვ. 537-541

Resume

Innovation policy at the regional level is impossible without the active support of the state. The intensification of competition in world markets has driven the process of clusters. The basis for the regional innovation concept is the following postulates: active growth measures for knowledge providers (new technologies, prospective scientific research, etc.); Attracting highly skilled labor to the region; Creation of business incubator networks; Establishing a research organization and long-term funding; Providing venture capital inflows to the region and more. Recommendations for the development of innovative systems in the regions are:

1. The creation of effective regional innovation systems is driven by the existence of one or more existing clusters.

2. Establish long-term intensive links with universities and research organizations in other regions.

3. For small and medium-sized regions where there are innovatively active research centers, it is important to take special measures to adapt the educational and scientific profile of these centers to the specifics of the products of regional innovation enterprises and more.

A number of regions of Georgia are active in developing innovative systems. This requires appropriate methodological and organizational support. It is necessary to develop innovative business development programs in the regions.

The proper infrastructure to support innovative activities is a powerful tool for the efficiency and sustainability of a market economy. Infrastructure includes: Creating an entrepreneurial and investment environment; Information provision, consulting; Qualification upgrading; Financial security; Industrial-technological support; Marketing; Patent-licensing activities and intellectual property protection. It is important to establish a small innovative enterprise support system.

Establishing the necessary infrastructure to support innovative activities in Georgia is impossible without state support. Criteria for selecting priority infrastructure projects need to be clearly defined: Financial viability: Black

technology innovation; Development of local economy and higher education institutions; Creating new companies and jobs; Commercialization of scientific processing; Attracting overseas investment; Improving the image of the region; Compliance with external factors (normative requirements, public opinion, environmental norms, etc.); Innovation and efficiency (economic, budgetary, social); Availability of necessary resources; Expected risks and more. In the process of selecting a project, it is important that the projects are aligned with development strategies and programs.

The thesis proposes a methodology for an integrated approach to Georgia's innovative development of the economy.

Through our coordination and direct participation, the Integrated Pilot Regions Development Program (SIGP) has been developed. The program aims to implement comprehensive concrete actions in four pilot regions of Georgia (Imereti, Kakheti, Guria, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti) in line with EU standards.

The overall strategic goal of PIRDP will be achieved through realisation of closely interrelated measures tackling identified regional needs and potentials. Those measures shall be concentrated in 5 proposed priority areas:

1. Urban renewal – integrated actions in urban areas;
2. Promotion of tourism using it's unique potential;
3. Improvement of competitiveness and support to innovations of SMEs;
4. Integrated local development, that implies preservation of local traditional crafts for stimulation of new business activities, development of infrastructure and Improvement of delivery and quality of local public services;
5. Technical support and capacity building of central and local administration.